

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №54

2015 წლის 9 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 31/12/2014, 190020020.35.171.016045) კერძოდ:

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 146,1 ათ. ლარით, კერძოდ:

ა) ქონების გადასახადი - 135.0 ათ.ლარით;

ბ) შემოსულობა არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან - 11.1 ათ.ლარით.

2. ცვლილება განხორციელდეს ბიუჯეტის შემოსავლების შემდეგ კოდებზე, კერძოდ:

ა) სხვა შემოსავლები - შემცირდეს 141.4 ათ. ლარით;

ბ) შემოსულობა არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან - გაიზარდოს 141.4 ათ. ლარით.

3. განხორციელდეს ცვლილება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ფუნქციონალურ ჭრილში, კერძოდ:

ა) პროგრამული კოდი (01 01) - ქალაქ ოზურგეთის საკრებულო - საქონელი და მომსახურება შემცირდეს - 17.0 ათ.ლარით;

ბ) პროგრამული კოდი (01 02) - ქალაქ ოზურგეთის მერია - საქონელი და მომსახურება შემცირდეს -35.0 ათ. ლარით;

გ) პროგრამული კოდი (01 04) - წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა- ვალდებულებების კლება შემცირდეს - 8.0 ათ.ლარით;

დ) პროგრამული კოდი (04 01) - სკოლამდელი განათლების დაფინანსება -სუბსიდია შემცირდეს - 30,0 ათ. ლარით;

ე) პროგრამული კოდი (05 01 01) - სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - საქონელი და მომსახურება შემცირდეს - 29.2 ათ.ლარით;

ვ) პროგრამული კოდი (05 02 02 09) - ა.(ა).ი.პ. თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი -სუბსიდია შემცირდეს - 16.0 ათ.ლარით;

ზ) პროგრამული კოდი (05 03) - საზოგადოებრივი და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება-საქონელი და მომსახურება შემცირდეს - 7.2 ათ. ლარით.

4. აღნიშნული მიმართება შემდეგ პროგრამულ კოდებზე:



ა) პროგრამული კოდი (05 01 02 07) -ა.(ა).ი.პ. „ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი“ - სუბსიდია გაიზარდოს - 111.3 ათ.ლარით;

ბ) პროგრამული კოდი (03 02 01) - დასუფთავების ღონისძიებები-სუბსიდია გაიზარდოს 38.0 ათ.ლარით;

გ) პროგრამული კოდი (03 02 03) - კომუნალური მომსახურების ცენტრი-სუბსიდია გაიზარდოს 39.0 ათ.ლარით;

დ) პროგრამული კოდი (03 02 05) - გარე განათება -საქონელი და მომსახურება გაიზარდოს - 18.5 ათ.ლარით;

ე) პროგრამული კოდი (05 02 02 03) - ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა პროფესიული თეატრი-სუბსიდია გაიზარდოს - 2.9 ათ. ლარით;

ვ) პროგრამული კოდი (05 02 02 05)- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკი-სუბსიდია გაიზარდოს 2.6 ათ.ლარით;

ზ) პროგრამული კოდი (05 02 02 12)-ა.(ა).ი.პ. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი- სუბსიდია გაიზარდოს 7.6 ათ.ლარით;

თ) პროგრამული კოდი (05 02 01 10)-სსიპ ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი -გრანტები გაიზარდოს 30.0 ათ.ლარით;

ი) პროგრამული კოდი (05 04) -ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა -სუბსიდია გაიზარდოს 10.0 ათ.ლარით;

კ) პროგრამული კოდი (03 02 04)-კეთილმოწყობის სამუშაოები -არაფინანსური აქტივების ზრდა გაიზარდოს 28.6 ათ.ლარით.

მუხლი 2

დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გელა კობლაძე

დანართი

**თავი I
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0,0	9841,1	2908,4	6932,7	12851.6	4865.1	7986.6
გადასახადები	0,0	527,1	0,0	527,1	560.0	0,0	560.0
გრანტები	0,0	8764,5	2908,4	5856,1	11203.1	4865.0	6338.1



სხვა შემოსავლები	0,0	549,5	0,0	549,5	1088.5	0,0	1088.5
ხარჯები	0,0	6561,6	141,3	6420,3	8273.4	1020.0	7253.4
შრომის ანაზღაურება	0,0	750,1	0,0	750,1	1117.7	0,0	1117.7
საქონელი და მომსახურება	0,0	1252,1	141,3	1110,8	622.9	0,0	622.9
სუბსიდიები	0,0	4247,8	0,0	4247,8	4087.5	0,0	4087.5
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	554.5	0,0	554.5
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	220,1	0,0	220,1	332.8	0,0	332.8
სხვა ხარჯები	0,0	91,5	0,0	91,5	1558.0	1020.0	538.0
საოპერაციო სალდო	0,0	3279,5	2767,1	512,4	4578.2	3845.0	733.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	1305,3	1317,4	-12,1	6192.0	5293.4	898.6
ზრდა	0,0	1348,0	1317,4	30,6	6399.5	5293.4	1106.1
კლება	0,0	42,7	0,0	42,7	207.5	0,0	207.5
მთლიანი სალდო	0,0	1974,2	1449,7	524,5	-1613.8	-1448.4	-165.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	1974,2	1449,7	524,5	-1985.8	-1448.4	-537.4
ზრდა	0,0	1974,2	1449,7	524,5	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	1985,8	1448,4	537,4
ვალდებულების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	-372,0	0,0	-372,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	372,0	0,0	372,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი



			გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
შემოსულობები	0,0	9883,8	2908,4	6975,4	13059.1	4865.0	8194.1
შემოსავლები	0,0	9841,1	2908,4	6932,7	12851.6	4865.0	7986.6
არაფინანსური აქტივების კლება	0,0	42,7	0,0	42,7	207.5	0,0	207.5
გადასახდელები	0,0	7909,6	1458,7	6450,9	15044.9	6313.4	8731.5
ხარჯები	0,0	6561,6	141,3	6420,3	8273.4	1020.0	7253.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	1348,0	1317,4	30,6	6399.5	5293.4	1106.1
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	372.0	0,0	372.0
ნაშთის ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 12851.6 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0,0	9841,1	2908,4	6932,7	12851.6	4865.0	7986.6
გადასახადები	0,0	527,1	0,0	527,1	560.0	0.0	560.0
გრანტები	0,0	8764,5	2908,4	5856,1	11203.2	4865.0	6338,1
სხვა შემოსავლები	0,0	549,5	0,0	549,5	1088.5	0,0	1088.5

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 560.0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



გადასახადები	0,0	527,1	0,0	527,1	560,0	0,0	560,0
ქონების გადასახადი	0,0	527,1	0,0	527,1	560,0	0,0	560,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბიუჯეტის გრანტები 10653.2 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	0,0	8764,5	2908,4	5856,1	11203,2	4865,1	6338,1
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	8764,5	2908,4	5856,1	11203,2	4865,1	6338,1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	0,0	5856,1	0,0	5856,1	6338,1	0,0	6338,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,0	5795,3	0,0	5795,3	6252,1	0,0	6252,1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0,0	60,8	0,0	60,8	86,0	0,0	86,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0,0	2908,4	2908,4	0,0	4865,1	4865,1	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1088.5 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	0,0	549,5	0,0	549,5	1088,5	0,0	1088,5



შემოსავლები საკუთრებიდან	0,0	105,9	0,0	105,9	581.6	0,0	581.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0,0	240,9	0,0	240,9	224.1	0,0	224.1
ჯარიმები, სანქციები და საურავები	0,0	200,0	0,0	200,0	247.4	0,0	247.4
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	2,8	0,0	2,8	35.4	0,0	35.4

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 8273.4 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	0,0	6561,6	141,3	6420,3	8273.4	1020.0	7253.4
შრომის ანაზღაურება	0,0	750,1	0,0	750,1	1117.7	0.0	1117.7
საქონელი და მომსახურება	0,0	1252,1	141,3	1110,8	622.9	0.0	622.9
სუბსიდიები	0,0	4247,8	0,0	4247,8	4087.5	0.0	4087.5
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	554.5	0.0	554.5
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	220,1	0,0	220,1	332.8	0.0	332.8
სხვა ხარჯები	0,0	91,5	0,0	91,5	1558.0	1020.0	538.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6192.0 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6399.5 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 207.5 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



			ტრანსფერები			ტრანსფერები	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	1305.3	1317.4	-12.1	6192.0	5293.4	898.6
ზრდა	0,0	1348.0	1317.4	30.6	6399.5	5293.4	1106.1
კლება	0,0	42.7	0.0	42.7	207.5	0,0	207.5

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	0,0	1523,0	0,0	1523,0	1766.0	0,0	1766.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	0,0	1010,4	0,0	1010,4	1751.6	0,0	1751.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	0,0	964,4	0,0	964,4	1610.6	0,0	1610.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	46,0	0,0	46,0	141.0	0,0	141.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	503,1	0,0	503,1	0,0	0,0	0,0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0,0	9,5	0,0	9,5	14,4	0,0	14,4



702	თავდაცვა	0,0	40,5	0,0	40,5	61,8	0,0	61,8
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	185,1	0,0	185,1	191,1	0,0	191,1
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0,0	185,1	0,0	185,1	191,1	0,0	191,1
704	ეკონომიკური საქმიანობა	0,0	1687,8	1458,7	229,1	6374.2	5311.9	1062.3
7045	ტრანსპორტი	0,0	0,0	0,0	0,0	1383.7	1039.2	344.5
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	0,0	0,0	0,0	0,0	1383.7	1039.2	344.5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	0,0	1687,8	1458,7	229,1	4990.5	4272.7	717.8
705	გარემოს დაცვა	0,0	555,2	0,0	555,2	713.6	0,0	713.6
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0,0	555,2	0,0	555,2	713.6	0,0	713.6
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0,0	269,9	0,0	269,9	1639.7	1001.5	1639.7
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	1293.1	1001.5	291.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	269,9	0,0	269,9	346.6	0,0	346.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	24,2	0,0	24,2	24.2	0,0	24.2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0,0	24,2	0,0	24,2	24.2	0,0	24.2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	0,0	2419,5	0,0	2419,5	2577.8	0,0	2577.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	0,0	943,3	0,0	943,3	1062.4	0,0	1062.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	0,0	1394,2	0,0	1394,2	1439.5	0,0	1439.5



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	82,0	0,0	82,0	75.9	0,0	75.9
709	განათლება	0,0	879,9	0,0	879,9	928.7	0,0	928.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	0,0	742,7	0,0	742,7	875.5	0,0	875.5
7092	ზოგადი განათლება	0,0	12,9	0,0	12,9	10,0	0,0	10,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	12,9	0,0	12,9	10,0	0,0	10,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	124,3	0,0	124,3	43.2	0,0	43.2
710	სოციალური დაცვა	0,0	324,7	0,0	324,7	395.8	0,0	395.8
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,6	0,0	0,6	1,0	0,0	1,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,2	0,0	0,2	0,9	0,0	0,9
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0,0	19,9	0,0	19,9	23,0	0,0	23,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,0	196,0	0,0	196,0	274.8	0,0	274.8
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალურ სფეროში	0,0	108,0	0,0	108,0	96.1	0,0	96.1
	სულ	0,0	7909,6	1458,7	6450,9	14672.9	6313.4	8359.5

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 141.0 ათ. ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მერისგადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობასა და მიზნობრიობის შესახებ.



მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 86.0 ათ. ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 24.2ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61.8ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

(პროგრამული კოდი 02 00)

გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

13.1 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

(პროგრამული კოდი 02 01)

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად გახორციელებისათვის ხელშეწყობა.

13.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 00)

ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

14.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

(პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სარეაბილიტაციო



სამუშაოების, მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ხარჯების დაფინანსება.

14.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან

დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა,სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები.

14.3 დასუფთავების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

გაგრძელდება ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმა, ქალაქის ქუჩების მორწყვა და მორეცხვა.

14.4 ბინათმშენებლობა

(პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, ბინათმშენებლობის ამხანაგობების მხარდაჭერა და თანადაფინანსება საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

14.5 კომუნალური მომსახურების ცენტრი

(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ქალაქის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა.

მუხლი 15. განათლება

(პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, აგრეთვე, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში



განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის გარეშე, შემოქმედებითი, ტექნიკური, ალტერნატიული და სხვა სახის დამატებითი განათლების მიღებას.

15.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

15.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი დაზოგადიგანათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებისათვის ხელშეწყობა სხვადასხვა ხარჯებისათვის.

15.2.1. სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი, პატრიოტული ცნობიერების, შრომითი უნარჩვევების ჩამოყალიბება, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში, სადაც სრული თავისუფლება მიენიჭება მათ შესაძლებლობებს.

ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლის გარეშე განათლების პროფილის შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ა.ი.პ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

16.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, აგრეთვე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

16.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 01 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

16.1.2. სპორტული ობიექტების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“;
- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“;
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩოგბურთის სკოლა“;
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირი“;
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა“;
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი“.

16.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 02)

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ღონისძიებების ჩატარება, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

16.2.1. კულტურის ღონისძიებების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

16.2.2 კულტურის ობიექტების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი“;
- ა.(ა).ი.პ., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“;
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი“;
- ა.(ა).ი.პ., „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი–სურათების



გალერეა;

- ა.ა.ი.პ.,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკი“;
 - ა.ა.ი.პ.,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმბერ დუნდუას სახელობისქართულ-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსაბლი „გურია“;
 - ა.ა.ი.პ.,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა“;
 - ა.ა.ი.პ.,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრიგოლ კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლა“;
 - ა.ა.ი.პ.,თვითმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი“.
- ასევე, პროგრამით დაფინანსდება:

- სსიპ„ქალაქ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“;
- სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“.

16.1.3 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელსშეწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. გაგრძელდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება; თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება.

16.1.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შემოქმედის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა (კომუნალური გადასახადებით), ასევე ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება სხვადასხვა რელიგიური ღონისძიებები.

16.1.5 ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა

(პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, ტურისტული მარშრუტების დაგეგმარებას, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობას, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ტურიზმის პროფილის შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- შ.პ.ს. „გურია-ტრეველი“.

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი



ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსებას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

17.1. სოციალური პროგრამები

(პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

17.2.1. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა

(პროგრამული კოდი 06 02 04 01)

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების და მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას, რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველ ერთიან მონაცემთა ბაზაში 57001-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულით გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით. აგრეთვე, შეჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველ ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150001-მდე ქულით, სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წილობრივი გადასახდელი თანხიდან, გაეწევათ დახმარება:

- ა) 0-დან 500 ლარამდე - 70% დაფინანსებით წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე,
- ბ) 501 ლარიდან - 1500 ლარამდე -- 400 ლარის ოდენობით,
- გ) 1501 ლარიდან ზემოთ - 500 ლარის ოდენობით.

